საქართველოს ბიზნესომბუდსმენი

თქვენი ბიზნესის
განვითარებისთვის

№ 00000847

13/08/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გიორგი წოწკოლაურს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს 2019 წლის 09 აგვისტოს განცხადებით მომართა სს „ევექსის ჰოსპიტლებმა“ (ს/ნ 404476205). განცხადება შეეხება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სს „ევექსის ჰოსპიტლების“ ქსელში შემავალ სხვადასხვა კლინიკებში საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ შემოწმებას, აღნიშნულ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

კომპანიის განმარტებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელდა მის ქსელში შემავალი ოთხი კლინიკის შემოწმება, კერძოდ: ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის (შემოწმების პერიოდი: 01/06/2013 – 01/06/2018, შემოწმების შუალედური აქტი: #2019/24/07შ), მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს (შემოწმების პერიოდი: 01/11/2015 – 01/06/2018, შემოწმების შუალედური აქტი: #2019/24/07/02/შ), თელავის რეფერალური ჰოსპიტლის (შემოწმების პერიოდი: 01/11/2014 – 01/08/2018, შემოწმების შუალედური აქტი: #2019/23/07/02/შ) და რეგიონული ჰოსპიტლის - საბურთალოს პოლიკლინიკის (შემოწმების პერიოდი: 2013 – 2018, შემოწმების შუალედური აქტი: #2019/27/07) შემოწმება. აღნიშნულ კლინიკებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შემოწმების აქტებით ჯამურად დაეკისრა 11,728,040 (თერთმეტი მილიონ შვიდასოცდარვაათას ორმოცი) ლარის საჯარიმო სანქციები.

კომპანიის განმარტებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილების 19[1] მუხლის საფუძველზე, აქტის ჩაბარებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, ეს აქტი გასაჩივრებულია, თუ - არა, დაკისრებული ჯარიმის 20% ჩამოჭრას/დააკავოს შესაბამის თვეში კლინიკის მიერ გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხებიდან.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ დაკისრებული სანქციების მოცულობა კლინიკების შესრულებასთან/შემოსავალთან მიმართებით უკიდურესად დიდია, რაც საფრთხეს უქმნის კლინიკის

მის.: საქართველო, 0114, ქ. თბილისი, იწგოროყვას ქ. №7
ცხელი ხაზი: +995 (32) 2 28 28 28
ელ.ფოსტა: ask@businessombudsman.ge
ვებ-გვერდი: www.businessombudsman.ge

ფუნქციონირების გაგრძელებას, მათ შორის, შესაძლებლობას, შეიძინოს მედიკამენტები და სახარჯი მასალები, გადაიხადოს ხელფასები და, შესაბამისად, განახორციელოს უწყვეტი სამედიცინო საქმიანობა და პაციენტების მომსახურება. მაგალითისთვის, ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკისთვის დაკისრებული სანქციები, განმცხადებლის ინფორმაციით, შეადგენს შესრულების 67%-ს, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს შემთხვევაში - 23%-ს, თელავის რეფერალური ჰოსპიტლის შემთხვევაში კი - 37%-ს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლი მიიჩნევს, რომ დაკისრებული საჯარიმო თანხების ჩამოჭრა/დაკავება მიმდინარე თვის შესრულების თანხებიდან, გამოიწვევს კლინიკებისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას.

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი იზიარებს განცხადებაში დასმული საკითხის მნიშვნელობას და კომპანიის მხარდაჭერის საჭიროებას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 24 ივლისის #2019/24/07შ შუალედური აქტის, 2019 წლის 24 ივლისის #2019/24/07/02/შ შუალედური აქტის, 2019 წლის 23 ივლისის #2019/23/07/02/შ შუალედური აქტისა და 2019 წლის 23 ივლისის #2019/27/07 შემოწმების აქტის საფუძველზე დაკისრებული საჯარიმო სანქციების (11,728,040 ლარის) დაუყოვნებლივ აღსრულებით შეიძლება საფრთხე შეექმნას სს „ევექსის ჰოსპიტლების“ ქსელში შემავალი სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირებას და მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებების ხელმისაწვდომობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით სს „ევექსის ჰოსპიტლების“ განცხადების ასლს, ასევე მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოსა და ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის მედ. პერსონალის განცხადებების ასლებს და „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილოთ მოცემულ დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სს „ევექსის ჰოსპიტლების“ ქსელში შემავალი სამედიცინო კლინიკებისთვის დაკისრებული საჯარიმო სანქციების ამოღების/აღსრულების შეჩერების საკითხი.

დანართი - 36 ფურცელი.

პატისცემით,

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი
ლექვინაძე ირაკლი